ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N5

ქ.თბილისი

23 დეკემბერი,2025 წელი
15[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბექა დავითულიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ლევან ჯაფარაძე

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
ალექსანდრე ასათიანი
ირაკლი ბენდელიანი
კახა ბერაძე
ნოდარ ბოკერია
ბექა გელენავა
გიორგი გვენეტაძე
მარიამ გრიგოლიშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ნინო ვარდოსანიძე
კონსტანტინე ზარნაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ვაჟა კოკაია
ლალი კოლომიკოვი
ჯაბა კოღუა
კახაბერ ლაბუჩიძე
ბექა მენთეშაშვილი
ბექა მიქაუტაძე
ალექსანდრე მუკათარიძე
გურამ ნიკოლაშვილი
არჩილ ნიჟარაძე
ბექა ოდიშარია
შალვა ოგბაიძე
ვალერიან პაპუაშვილი
შალვა პერანიძე
მიხეილ რეხვიაშვილი
შალვა სუთიაშვილი
ვახტანგ სურგულაძე
დავით ფანჯაკიძე
გიორგი ქარდავა
შოთა ქევხიშვილი
ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი
ზურაბ ჩიკვილაძე
ცოტნე ჩიქვინიძე
ოთარ ჩრდილელი
გივი ჩხარტიშვილი
ავთანდილ ცინცაძე
ზაქარია წიკლაური
ქეთევან ჭავჭანიძე
დავით ჭელიძე
მამუკა ხაბარელი
დავით ხაბეიშვილი
გიორგი ხუროძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) გიორგი ტყემალაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ირაკლი ბენდელიანი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ანდრია ბასილაია;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე კახა აბულაძე;

თბილისის მერიის სამსახურების წარმომადგენლები, რაიონული გამგეობების გამგებლები, მოწვეული სტუმრები.
სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა;

2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 45
თავი შეიკავა - 0
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა;

კახა კალაძე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წელი დგება ჩვენი დედაქალაქის განვითარებისთვის. შემართებით, 24 საათიანი შრომით ვხვდებით 2026 წელს. "ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებით ყველა იმ პროექტის განხორციელებას, რომელიც ჩვენი დაპირება იყო." ისაუბრა ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ კურსზე და აღნიშნა, „იქ, სადაც არის მშვიდობა, სადაც მთავარი ქვეყნის და მოსახლეობის ინტერესებია, არის განვითარება, ქალაქებზე ზრუნვა, წინსვლა". მშვიდობიან პოლიტიკას მოაქვს მოსახლეობის ნდობა, ნდობა კი არის ფუნდამენტი, რომელზეც შენდება სახელმწიფო. საბოლოოდ, ეს ყველაფერი მოქალაქეების კეთილდღეობაზე აისახება: შეუფერხებელი სერვისები, უსაფრთხო გარემო, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, ახალი ინვესტიციები. „თბილისის ბიუჯეტი ემსახურება ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მისი პოლიტიკური შეხედულებებისა. განსხვავებული აზრისა თუ არჩევანისა. თბილისი არ ეკუთვნის რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფს, თბილისი არის ყველას ქალაქი. უფრო მეტიც, თბილისი არა მხოლოდ აქ მცხოვრები ადამიანების ქალაქია, არამედ საქართველოს გულია. მის ბედზე თანაბრადაა პასუხისმგებელი ყველა. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, თბილისის ბიუჯეტის დამტკიცება არის გადაწყვეტილება, რომელიც უნდა გვაერთიანებდეს. ეს არის საერთო მიზნებზე დაფუძნებული დოკუმენტი. შესაბამისად, იმედი მაქვს დღეს გვექნება საქმიანი, თანამშრომლობის სურვილით განმსჭვალული დისკუსია"-განაცხადა კახა კალაძემ.
მომავალი წლის ბიუჯეტის საერთო მოცულობა 2 193 388 700 ლარია, რაც 219 823 300 ლარით მეტია 2025 წლის ბიუჯეტთან შედარებით. საზოგადოებას კიდევ ერთხელ გააცნო ის მნიშვნელოვანი სამუშაოები, რომელიც 2025 წელს განახორციელა მუნიციპალიტეტმა. განხორციელდა საგზაო სამუშაოები, რეაბილიტირდა 931 ქუჩა და გამზირი. 17 მლნ ლარი დაიხარჯა ავარიული შენობების გასამაგრებლად (53 შენობა-ნაგებობა). არსებობს კონკრეტული პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ეტაპობრივად მოხდება ავარიული სახლების ჩანაცვლება, რა თქმა უნდა, მოსახლეობის მხარდაჭერით და თანხმობით. რეაბილიტაციის მიმართულებით, მიმდინარე წელს დაიხარჯა 55 მლნ ლარი. რაიონულმა გამგეობებმა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების 2000-მდე პროექტი დააფინანსა, სადაც დაიხარჯა 57 მლნ ლარი. თბილისის მერიამ 65 ჰექტარ ფართობზე განახორციელა გამწვანება. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 750 პარკს,

სკვერს და სპორტულ მოედანს. დედაქალაქში დამატებით შემოვიდა 200 ერთეული ახალი ავტობუსი და სხვადასხვა მისამართებზე 60 მოსაცდელი მოეწყო. 2025 წელს განათლების და ახალგაზრდობის მიმართულებით გაგრძელდა მნიშვნელოვანი პროგრამების განხორციელება, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების, დასვენების, გართობისა და სარეკრეაციო ღონისძიებების მიმართულებით განხორციელდა არაერთი პროექტი. ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ, ქალაქის მასშტაბით მოეწყო არაერთი გამოფენა-გაყიდვა, ფესტივალები, კონფერენციები. ამოქმედდა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა. თბილისის საბავშვო ბაღების სააგენტო, 190 საბავშვო ბაგა-ბაღის მეშვეობით, მოემსახურა 60000-მდე აღსაზრდელს. აშენდა და გაიხსნა 2 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი. რაიონულმა გამგეობებმა 100-მდე სკოლაში განახორციელეს სამუშაოები (ჯამურად 22მლნ ლარამდე). „თბილსერვის ჯგუფმა“ ხელშეკრულებები გააფორმა 17 მლნ ლარის ღირებულების 45 ერთეული სპეცტექნიკის შეძენაზე. რეაბილიტირებულ გზებზე საერთო ჯამში, 54 ერთეული თანამედროვე ტიპის მიწისქვეშა ურნა დამონტაჟდა. თბილისის მასშტაბით, სანიაღვრე-სადრენაჟე ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია 239 მისამართზე განხორციელდა. დედაქალაქის მასშტაბით, საგზაო მონიშვნები 500-ზე მეტ ლოკაციაზე, დაახლოებით 65000 კვ.მ ფართზე დაიხაზა. თბილისის მუნიციპალურმა ინსპექციამ მიმდინარე წლის განმავლობაში 1625-ზე მეტი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმე შეისწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. დედაქალაქის მერმა აღნიშნა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ, 2025 წლის 1 იანვრიდან დღემდე 19 მესაკუთრესთან განხორციელდა 18 მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღება (ადგილმონაცვლეობა და გამოსყიდვა). უსახლკარო სტატუსის მქონე ოჯახებისთვის, მუნიციპალური საბინაო ფონდიდან, გამოიყო 190 ბინა. მიმდინარე წელს საცხოვრებელი ფართი დაუკანონდა 99 ოჯახს. ჯამში, 2017 წლიდან დღემდე, საცხოვრებელი ფართი დაუკანონდა 3121 ოჯახს და დაკმაყოფილდა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული 37 ოჯახი.

2025 წლის საქმიანობის ანგარიშის წარდგენისას დედაქალაქის მერმა აღნიშნა, რომ თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა განახორციელა 30 პროგრამა. 9-ჯანდაცვის მიმართულებით, 21-სოციალური მიმართულებით, რითაც ნახევარ მილიონამდე ბენეფიციარმა ისარგებლა. მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში დასრულების ეტაპზეა და 2026 წლის ბოლომდე ექსპლოატაციაში შევა 20-მდე დაუმთავრებელი შენობა. თბილისის განვითარების ფონდმა, მიმდინარე წელს ისტორიულ არეალებში არსებული ძეგლების რეაბილიტაციის მიმართულებით განკარგა 34 248 077 მლნ ლარი. წარმატებით ხორციელდება ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამა. 5 მისამართზე მიმდინარეობს სამუშაოები. საცხოვრებელი ბინები უკვე გადაეცა 36 ოჯახს. პროექტირება მზადდება 16 მისამართზე. 2025 წელს ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ დედაქალაქში შინაურ ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირებისა და მონიტორინგის მიმართულებით არაერთი ქმედითი პროექტი განახორციელა. 11000-მდე მიუსაფარ და პატრონიან ცხოველს ჩაუტარდა პირველადი და განმეორებითი ანტირაბიული ვაქცინაცია. გასტერილდა რეკორდული რაოდენობის ცხოველი. კახა კალაძემ მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა როგორც მერიის მთლიან გუნდს, ასევე დედაქალაქის საკრებულოს. „ეს არის მხოლოდ ზოგადი მონაცემი 2025 წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოსი. ბედნიერი ვარ, რომ ამ ციფრების მიღმა იგულისხმება ათი ათასობით თბილისელის გაუმჯობესებული პირობები და მიღებული სარგებელი. იგულისხმება გამწვანებული და გალამაზებული თბილისი, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, ახალი ბაგა-ბაღები, მეტი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მოწესრიგებული ქუჩები და გამზირები“, განაცხადა დედაქალაქის მერმა.

თბილისის მერის ანგარიში საკრებულოს სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული.

თბილისის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერმა გიორგი ტყემალაძემ საზოგადოებას წარუდგინა 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტები და განაცხადა, რომ 2026 წლის ბიუჯეტი მთლიანობაში შეადგენს 2 მილიარდ 193 მილიონ 388 ათას 700 ლარს, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 210 210 700 მლნ ლარით. ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა ასეთია: საკუთარი შემოსულობები 1 533 357 600, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 630 00 000, სხვა კაპიტალური გრანტები, სესხის ფარგლებში დასაფარი დღგ-ს ჩათვლით 25 480 000ლარი. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 4 551 100 ლარი. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტებით ასიგნებები მიიმართება შემდეგ პრიორიტეტებზე: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა და განვითარება, ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება, ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, კულტურა, სპორტი. მომავალ 2026 წელს გრძელდება ბევრი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პროექტი: ტრამვაის ხაზის პროექტირება და მშენებლობა. ამასთან დაკავშირებით, ჩატარებულია ბაზრის კვლევა და უახლოეს მომავალში გამოცხადდება ტენდერი. 48 მლნ ლარია გათვალისწინებული 3 საბაგირო გზისთვის. ასევე, პრიორიტეტულ პროექტებს წარმოადგენს, რუსთაველის გამზირის სრული რეაბილიტაცია, ახალი ხიდების მშენებლობა და არსებული ინფრასტრუქტურის განახლება. გათვალისწინებულია სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირება-მშენებლობა. დიღმის მასივში "ამერის" სპორტული კომპლექსის პროექტირება, ბაგებში დახურული ფეხბურთის მოედნის, საცურაო აუზის და პადელის მოედნების პროექტირება. წყნეთის და კოჯრის ცენტრების რეაბილიტაცია, საყრდენი კედლების მშენებლობა-რეკონსტრუქცია. რეკრეაციული სივრცეების განვითარება. სკვერებისა და პარკების მოწყობა, ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის გაუმჯობესება. თბილისის ნაგავსაყრელის ნაჟური წყლების დამუშავების სისტემის გაუმჯობესების ღონისძიებები. ბიუჯეტში მნიშვნელოვანი წილი უკავია რაიონული გამგეობების დაფინანსების ნაწილს. ამ მიმართულებით გამოიყოფა 298 933 900 ლარი. რაც შეეხება დანარჩენ მსხვილ პროექტებს, ბიუჯეტის მიხედვით, გათვალისწინებულია ე.წ. სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა, ვაკის პარკის შადრევნების კასკადის რეაბილიტაცია, ოთხი საბავშვო ბაღის მშენებლობა. თაბუკაშვილის N51, ფიროსმანის N29 რეაბილიტაცია, ნარიყალას ციხის, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია. დაწყებულია ზოოპარკის თბილისის ზღვის ტერიტორიაზე გადატანის პროცესი. არსებული ზოოპარკის ტერიტორიაზე მოეწყობა სარეკრეაციო სივრცე.

ზურაბ აბაშიძემ მადლობა გადაუხადა გიორგი ტყემალაძეს და განაცხადა, რომ ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი განხილულია საკრებულოს ფრაქციებსა და კომისიების სხდომებზე და არის უალტერნატივო.

ვახტანგ სურგულაძე შეეხო თბილისში ჰაერის დაბინძურების პრობლემას და განაცხადა, რომ ეს საფრთხეს უქმნის თითოეული ადამიანის ჯანმრთელობას, დაინტერესდა, ამასთან დაკავშირებით გაკეთდა თუ არა რაიმე სახის ანალიზი. ასევე, დასვა კითხვა ვაკის პარკის, იპოდრომის, დიღმის ჭალების პროექტებთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ იყო დაპირება რუსთაველისკენ მიწისზედა მეტროსთან დაკავშირებით და დაინტერესდა რატომ არ კეთდება. შეეხო პენსიონერებისთვის მედიკამენტებისთვის გამოყოფილი 500 ლარიანი ვაუჩერის საკითხს და აღნიშნა, „მართალია ძალიან კარგი პროექტია, მაგრამ საჭიროა თანხების გაზრდა."
ნიკოლოზ კახეთელიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის დადებითი მხარე არის თანაბარი გადანაწილება. შეეხო ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრამვაის ხაზის საკითხს და თხოვნით მიმართა ქალაქის მერს, იქნებ გამოინახოს სახსრები, რომ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, თბილისში სხვა მიმართულებითაც მოხდეს ტრამვაის ხაზის პროექტირება. ასევე, მნიშვნელოვანია დედაქალაქის ისტორიულ ნაწილში მოხდეს ძველი შენობების ჩანაცვლება/აღდგენა.

გიორგი გვენეტაძე დაინტერესდა, როგორ ხდება კ2 კოეფიციენტების ცვლილება, ხო არ ხდება ეს საბაზრო პრინციპების დარღვევით და ეს ხომ არ აძვირებს საბოლოო პროდუქტის ღირებულებას მოსახლეობისთვის.
შალვა ოგბაიძემ მადლობა გადაუხადა მერს და მერიის მთლიან შემადგენლობას გაწეული მუშაობისთვის. ისაუბრა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მნიშვნელობაზე, დაასახელა კულა გლდანელის და ავჭალის ტერიტორიები, სადაც მოსახლეობა დამატებით ავტობუსებს ელოდება და დაინტერესდა , როდისთვის იგეგმება ავტოპარკის მშენებლობის დასრულება. რა ეტაპზეა 8 მეტრიანი ავტობუსების შეძენის საკითხი.
დავით ფანჯაკიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი ნაკლებადაა ორიენტირებული ქალაქის განვითარებაზე. მეოთხედი იხარჯება გადაადგილების ტრანსპორტით მომსახურების სუბსიდირებაზე. მიმდინარეობს ადამიანების დაბეგვრის შედეგად მიღებული თანხების არამიზნობრივი გამოყენება „ეს რაღაცნაირად მგონია, რომ თბილისელებისთვის ცოტა ამორალურიც კი არის და ვინაიდან, მე დინამიკაში ვუყურებ, ხარჯები სულ იზრდება და სულ მეტს ვხარჯავთ და სერვისი, რომელიც ღირს 4 ლარი, ვყიდით 1 ლარად“-აღნიშნა მან.“
ალექსანდრე ასათიანი შეეხო ინფრასტრუქტურის პროექტებს და დაინტერესდა, წყნეთის ცენტრის რეაბილიტაცია რა არეალს ეხება და როდისთვის იგეგმება ბეთანიის დაანონსებული სათხილამურო ტრასის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების დაწყება და შემდგომ დასრულება. აღნიშნა, რომ ბეთანიის პროექტი განსაკუთრებულია თავისი შინაარსით და მის განხორციელებას უამრავი ადამიანი ელოდება.
გიორგი ქარდავამ ისაუბრა ქვეყანაში არსებულ სააფთიაქო პოლიტიკაზე. განაცხადა, რომ ჩვენი სახელმწიფო სოციალური სახელმწიფოა, რაც ვალდებულებებს აკისრებს ქვეყანას იზრუნოს საკუთარ მოქალაქეებზე, მის ჯანდაცვაზე. ყველაზე მძიმე პრობლემა მოსახლეობისთვის არის წამლებზე კატასტროფულად გაზრდილი ფასები. კერძო სააფთიაქო კომპანიები მოტივირებულები არიან მხოლოდ მოგებაზე და გამოვიდა ინიციატივით, თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით შეიქმნას მუნიციპალური სოციალური აფთიაქების ქსელი, რომელიც შეღავათიან ფასებში მოემსახურება მოქალაქეებს.
შალვა პერანიძის მიერ დასმული შეკითხვა ეხება თბილისს შემოერთებული ტერიტორიების, დიდგორისა და თელოვანის, წყალმომარაგების საკითხს. როდისთვის იქნება შესაძლებელი ამ დასახლებებში წყალმომარაგებით უზრუნველყოფა.
ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა მიმართა მერს „თქვენ ისაუბრეთ შესრულებულ სამუშაოებზე და არც ერთი სიტყვა არ გითქვამთ განუხორციელებელ პროექტებზე“. როგორიცაა „ლაგუნა ვერე“, იპოდრომი, რომლის დასრულებაც 2 წელიწადში იყო დაანონსებული, მეტრო „ვარკეთილი“, რომლის დასრულებასაც არ დაადგა საშველი. ტრამვაის ხაზთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ დიდ დიღომში „გუდვილის“ მიმდებარედ რომ არ აშენდეს დაანონსებული ცათამბჯენები, უმჯობესი იქნებოდა, მაშინ ტრამვაი ნამდვილად განტვირთავდა სატრანსპორტო მოძრაობას.
გივი ჩხარტიშვილმა შეკითხვა დასვა აგლაძის ქუჩასთან დაკავშირებით, როდისთვის იგეგმება ამ ქუჩის რეაბილიტაცია. ასევე, შეეხო „მუშთაიდის“ სკვერის გამოსყიდვის თემას და დაინტერესდა, რა ეტაპია დარჩენილი მოლაპარაკებების ნაწილში.
ბექა ოდიშარიამ განაცხადა, რომ მომავალი წლიდან იგეგმება სკოლის ფორმების შემოღება საჯარო სკოლებში და ასევე, მოსწავლეთა რეგისტრაცია საცხოვრებელი მისამართის მიხედვით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და მოწონებულია მოსახლეობის მხრიდან. დაინტერესდა, ანალოგიური ხომ არ იგეგმება საბავშვო ბაღებთან მიმართებით.
კოტე ზარნაძემ კითხვა დასვა სისტემურ რეგისტრაციებთან დაკავშირებით. უამრავი მომართვიანობიდან გამომდინარე, ხომ არ იგეგმება გლდანი-ნაძალადევის და ისანი-სამგორის ტერიტორიებზე მიწის სისტემური რეგისტრაციები.

დედაქალაქის მერმა საკრებულოს წევრების კითხვებს უპასუხა.

კახა კალაძემ უპასუხა ვახტანგ სურგულაძის შეკითხვებს დედაქალაქში არსებული გამოწვევების შესახებ და აღნიშნა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი სწორედ პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული. ვაკის პარკის პროექტის, დედაქალაქის მერის თქმით,

ძირითადი სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დასრულებულია და დარჩენილია ე.წ. კასკადის პროექტი, რომელსაც უცხოური კომპანია შეასრულებს. „ვაკის პარკი ერთ-ერთი მსხვილი სარეკრეაციო სივრცეა, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დიდი ნაწილი შესრულებულია, დარჩენილია „კასკადი",რომელიც ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. სამწუხაროდ, საქართველოში ვერ მოიძებნა კომპანიები, ვინც აღნიშნულ პროექტს განახორციელებდა და შესაბამის სამუშაოებს ჩაატარებდა. ჩემი მოადგილე ანდრია ბასილაია აქტიურად იყო ჩართული ამ პროცესში და უცხოელების ჩართულობით, წარმოდგენილია პროექტი, რომელიც მომდევნო წლებში განხორციელდება. ამით, ვაკის პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები მთლიანად დასრულდება"-აღნიშნა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა უპასუხა შეკითხვას ყოფილი იპოდრომიოს ადგილზე ცენტრალური პარკის მოწყობასა და მიწისზედა მეტროს პროექტის შესახებ. „იპოდრომის პარკის მოწყობის პროექტს საქველმოქმედო ფონდი „ქართუ" ახორციელებს და ამისთვის ბიძინა ივანიშვილის ოჯახს მინდა მადლობა გადავუხადო. წინა ხელისუფლების პირობებში, იპოდრომი გასხვისებული იყო და საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა იგეგმებოდა. ბიძინა ივანიშვილმა ტერიტორია გამოისყიდა და მიმდინარეობს პარკის მოწყობა. როგორც კი სამუშაოები დასრულდება, ტერიტორია მუნიციპალიტეტს გადაეცემა. რაც შეეხება მიწისზედა მეტროს, ამასთან დაკავშირებით არაერთი განმარტება გვაქვს გაკეთებული. აღნიშნული ინიციატივა ყოფილ პრემიერ-მინისტრს მამუკა ბახტაძეს ეკუთვნის. მუნიციპალიტეტს კი ბაზრის შესწავლა, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის გაკეთება და პროექტის მომზადება დაევალა. ჩვენ დავიქირავეთ ევროპული კომპანიები, რომლებმაც კვლევა დადეს და პროექტი დაახლოებით 300 მლნ ევრო დაჯდებოდა. როდესაც დავიწყეთ მსჯელობა, რამდენად სწორი იქნებოდა ამხელა თანხის დახარჯვა, მაშინ, როდესაც გადაუდებელი აუცილებლობაა „ახმეტელის თეატრისა" და „ვარკეთილის" მეტროსადგურების ხაზების დაგრძელება, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ეს პროექტი დროებით შეგვეჩერებინა. ყველაფერი დავთვალეთ და პრიორიტეტებს მივაქციეთ ყურადღება"-განაცხადა კახა კალაძემ.

კახა კალაძემ უპასუხა ნიკოლოზ კახეთელიძის შეკითხვას ჩანაცვლების პროგრამებთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ მერია აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. "რა თქმა უნდა ისტორიული არეალები კიდევ უფრო განსაკუთრებულია, უფრო სპეციფიურია, იმიტომ, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, შენობა - ნაგებობები არის სიმდიდრე და სილამაზე, რომელიც ამ ქალაქს გააჩნია. შესაბამისად, მარტო ფონდი ვერ გაწვდება იმ მასშტაბებს, იმ მოცულობებს, რომ მოხდეს ამ სახლების ჩანაცვლება, რეაბილიტაცია, განახლება. შესაბამისად, ამ საკითხის მოსაგვარებლად შემოგვყავს ბიზნესი"-აღნიშნა მან.

რაც შეეხება გიორგი გვენეტაძის შეკითხვას კ2 კოეფიციენტის გაყიდვასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ პირველ რიგში, ამაზე მსჯელობს ურბანული სამსახური, რამდენად სწორი იქნება იმ კონკრეტულ არეალში, იმ კონკრეტულ უბანში კოეფიციენტის გადამეტება. კოეფიციენტის გაყიდვით შემოსული თანხები კი უპირველესად, მიმართულია უსახლკარო ოჯახების ბინით უზრუნველსაყოფად."კოეფიციენტის გაყიდვა ყველგან არ ხდება. ამაზე მსჯელობს შესაბამისი სამსახური, დარგის სპეციალისტები. იმ შემთხვევაში ვიღებთ გადაწყვეტილებას, თუ კონკრეტული შენობა-ნაგებობა არ აზიანებს ურბანულ ქსოვილს და არ აზიანებს ზოგადად, არსებულ უბანს"-განაცხადა კალაძემ.

შალვა ოგბაიძის კითხვას ავტობაზის დასრულებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სამუშაოები დასრულებულია და უკვე, მომავალი წლის პირველ თვეებში შესაძლებელი იქნება ადგილზე მისვლა და შესრულებული სამუშაოს გაცნობა.

მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკება ფინანსთა სამინისტროსთან 200 ავტობუსის შემოყვანასთან დაკავშირებით. როდესაც გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ამის შესახებ ინფორმირებული იქნება მოსახლეობა.

დავით ფანჯაკიძის შეკითხვა ტარიფებთან დაკავშირებით, „მართლაც რომ საინტერესოა. ძალიან დიდი თანხა იხარჯება საზოგადოებრივი ტრანსპორტის სუბსიდირებაში. ეს საკმაოდ მძიმე და რთული საკითხია და შესაბამისად, მსჯელობას მოითხოვს. „ქალაქი ვითარდება,

ქალაქი იზრდება, გვაქვს ახალი ქუჩები, სადაც მუნიციპალიტეტის მხრიდან მნიშვნელოვანია მუნიციპალური სერვისების მიწოდება"-განაცხადა კახა კალაძემ.
ალექსანდრე ასათიანის შეკითხვას წყნეთის ცენტრის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, კახა კალაძემ აღნიშნა, რომ დაიწყება განახლება/რეაბილიტაცია, მოწესრიგდება საგზაო ინფრასტრუქტურა, ქვეითად მოსიარულეებისთვის მოეწყობა ტროტუარები, მოხდება დახაზვითი სამუშაოები, გამწვანდება და განათდება წყნეთის ცენტრი. ასევე, მიღებულია გადაწყვეტილება ნარჩენების მიწისქვეშა ურნების განთავსებაზე.
ბეთანიის სათხილამურო ტრასის მოწყობის პროექტთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა ეკონომიკის სამინისტროსთან, მადლობა გადაუხადა მარიამ ქვრივიშვილს და ბეთანიის პროექტთან დაკავშირებით, განმარტების გაკეთება სთხოვა ვიცე მერს გიორგი ტყემალაძეს, რომელიც აქტიურადაა ჩართული ამ საკითხის მოგვარებაში. გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ მთის კურორტების განვითარებასთან ერთად, მიმდინარეობს მუშაობა კონცეფციაზე ეკონომიკის სამინისტროსთან. ამ მხრივ, მათი გამოცდილება უფრო დიდია. ისინი შეისყიდიან კონცეფცია-პროექტებს. აღნიშნულ ტერიტორიაზე გარკვეული არეალი არის კერძო საკუთრება, დასრულებისკენ მიდის ადგილმონაცვლეობაზე მოლაპარაკებები და მომავალი წლის ბოლოს იგეგმება ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულება. ასევე, დაინტერესებულია კერძო სექტორიც და მათთანაც დაიწყება თანამშრომლობა.
გიორგი ქარდავას მიერ დასმულ შეკითხვას, მუნიციპალური აფთიაქების შექმნასთან დაკავშირებით, კახა კალაძემ აღნიშნა, რომ მედიკამენტებზე გაზრდილი ფასები მძიმედ აისახება მოსახლეობაზე, ამიტომაც აქვს მერიას 500 ლარიანი ვაუჩერები. გარდა ამისა, გამგეობები აქტიურად ეხმარებიან იმ ოჯახებს, ვისაც ამის აუცილებლობა აქვს. „მუნიციპალურ სააფთიაქო ქსელს რაც შეეხება, მე არ ვიცი ვინ უნდა გაუწიოს ამას მენეჯმენტი, რა თანხები უნდა დაიხარჯოს. თუ გაქვთ იდეა, რას მოვაკლოთ აღნიშნული თანხები, გვითხარით უფრო დეტალურად, უფრო მეტი ინფორმაცია მოგვაწოდეთ"-განაცხადა კახა კალაძემ.
შალვა პერანიძის შეკითხვას, დიდგორისა და თელოვანის წყალმომარაგების საკითხთან დაკავშირებით, უპასუხა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში, ეს საკითხი გათვალისწინებული არაა. რადგან ათეულ მილიონამდე ლარზეა საუბარი. აქაც პრიორიტეტია მნიშვნელოვანი, სად მეტი ოჯახი ცხოვრობს, სად მეტი დასახლებაა. ეს საკითხი მოითხოვს მსჯელობას.
გივი ჩხარტიშვილის შეკითხვასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ აგლაძის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტი არსებობს და საჭიროებს განახლებას. ამის შემდეგ, სასურველია წარიმართოს მსჯელობა სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაზე.
ბექა ოდიშარიას შეკითხვასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ ესეც სამსჯელო საკითხია. თუ იქნება მოსახლეობის სურვილი და თანხმობა და შესაბამისი გადაწყვეტილება, მერია მოახდენს აღსრულებას ბაღებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციაზე.
კოტე ზარნაძის შეკითხვას, სისტემურ რეგისტრაციასთან დაკავშირებით, უპასუხა, რომ უამრავი ადამიანი დაკმაყოფილდა, თუმცა ჯერ კიდევ რჩება გამოწვევები. იუსტიციის სამინისტროსთან კომუნიკაციით, აუცილებლად გაგრძელდება სისტემური რეგისტრაციები.
ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის შეკითხვებს უპასუხა კახა კალაძემ. „ლაგუნა ვერეზე ერთი რამ უნდა გაიგოთ, ეს არის კერძო საკუთრება. ეს არც ჩემია და არც მუნიციპალიტეტის, არც თქვენი. ესაა კერძო საკუთრება. რა დაპირებაზე მესაუბრებით? ჩვენი დაპირება იყო, რომ იქ, როდესაც სამუშაოები წარიმართება, შენარჩუნებული იქნება „ლაგუნა ვერე", საცურაო აუზი. მე თუ მკითხავთ, როგორც დედაქალაქის მერს და როგორც ამ ქალაქში მცხოვრებ ადამიანს, საერთოდ არაფერი არ ესაქმება იქ საცურაო აუზს, ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული ადგილი გახლავთ კონკრეტული გზის მონაკვეთი. არ ვიცი, დაველოდოთ, როდესაც კერძო მესაკუთრე განახორციელებს პროექტს. ხელშეკრულებაში პირდაპირ არის ჩაწერილი, რომ აღნიშნული საცურაო აუზი უნდა იყოს შენარჩუნებული."
რაც შეეხება „ვარკეთილის" მეტროს, „აბსოლიტურად გეთანხმებით, რომ უდიდესი პრობლემა იყო, სერიოზული გამოწვევა. აქაც არ არსებობს კომპანიები საქართველოში. გვაქვს სერიოზული პრობლემა მუშახელთან დაკავშირებით. პროექტი, რა თქმა უნდა, ბოლოშია გასული და უახლოეს მომავალში მთლიანად დამთავრებული და მოწესრიგებული იქნება. უამრავი

გამოწვევა ახლდა თან ამ პროექტს. ჯერ ერთი, კომპანიები პასუხისმგებლობას არ იღებდნენ იმიტომ, რომ იმ უბედურების გამო, რაც მოხდა, ყველა შეშინებული იყო და არავის არ ქონდა სურვილი, მონაწილეობა მიეღო ამ პროექტის განხორციელებაში. მოგვიწია უცხოელი ექსპერტების ჩამოყვანა, დეტალურად შესწავლა თვითონ გვირაბის, რა მდგომარეობა იყო, წყლები საიდან შემოდიოდა, როგორ უნდა მომხდარიო ამ ყველაფრის არიდება."-განაცხადა კახა კალაძემ.

„ქალაქის განვითარება შევაჩეროთ იმის შიშით, რომ მშენებლობები კონკრეტულ უბნებს გადატვირთავს, ვფიქრობ, არასწორია. დიდ დიღომში ბევრი საცხოვრებელი კორპუსი შენდება, ერთ-ერთი განვითარებადი უბანია. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ რაიონები ისე განვითარდეს, რომ მცხოვრებლებს არ მოუხდეთ გასვლა-ყველაფერი უნდა ჰქონდეთ ადგილზე: სკოლა, საბავშვო ბაღი, თეატრი, კულტურის სახლები, სამსახური და ა.შ. რა თქმა უნდა 100% ვერ იქნება შესრულებული, რადგან სამსახურები სხვადასხვა მიმართულებით აქვთ, მაგრამ სხვა დანარჩენი სრულიად შესაძლებელია. თბილისის გენგეგმის ჯგუფისგან სწორედ ეს მითითებაა, რომ ყველა რაიონი ისე განვითარდეს, რომ მოსახლეობას ადგილზე ჰქონდეს ყველა შესაძლებლობა. ტრამვაი მოგვცემს საშუალებას, რომ გავაადვილოთ გადაადგილება, შესვლა-გამოსვლა დიდი დიღმიდან. საკმაოდ საინტერესო პროექტი იქნება. როგორც იცით, პროექტის განხორციელებას ვფიქრობთ აღმაშენებლის ხეივნის შუა ნაწილში, სადაც, ტრამვაისთან ერთად სხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტი-ავტობუსი და მიკროავტობუსი გადაადგილდება"-აღნიშნა კახა კალაძემ.

ზურაბ აბაშიძემ მადლობა გადაუხადა მერს ანგარიშის და ვიცე მერს ბიუჯეტის პროექტის წარდგენისთვის და აღნიშნა, რომ საკრებულოს უმრავლესობა მზადაა მხარი დაუჭიროს მომავალი წლის ბიუჯეტს, რომელიც არის ორიენტირებული იმ პრობლემების გადაჭრაზე, რომელიც დღეს დედაქალაქს აწუხებს. საკრებულო მერიის გუნდთან ერთად კვლავ გააგრძელებს ნაყოფიერ თანამშრომლობას დედაქალაქის საკეთილდღეოდ.

ნინი ვარდოსანიძემ მადლობა გადაუხადა მერს დეტალური ინფორმაციისთვის. ბევრი შრომა ჩაიდო ამ ბიუჯეტის პროექტზე, მადლობა გადაიხადა რომ გათვალისწინებული და გაზიარებულია ის რეკომენდაციები, რომელიც შეიმუშავა იურიდიულმა კომისიამ. მადლობა გადაიხადა საახალწლოდ მორთულ და გალამაზებულ ქალაქზე და ყველას ნათელი და ბედნიერი შობა-ახალი წელი უსურვა სიკეთით სავსე ქალაქში.

ლევან არველაძემ ისაუბრა ბიუჯეტის პროექტზე და აღნიშნა, რომ მთავარი პრიორიტეტი ჯანდაცვა და სოციალური მიმართულებებია, ამისთვის გამოყოფილია 600 მლნ ლარი, რაც ბიუჯეტის საერთო მოცულობის 27% შეადგენს."ორი მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელზეც ჩვენ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, აქტიურად ვსაუბრობდით, ესაა ლიფტები, რომლის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 30 მლნ ლარი და იმედია, ოთხი წლის განმავლობაში არც ერთი ავარიული ლიფტი აღარ იქნება და ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამა, რომლისთვისაც გამოყოფილია 20 მლნ ლარი. ამ მიმართულებით არსებობს 19 მიმდინარე პროექტი, 5 პროექტი დასასრულს უახლოვდება". 10 გამგეობას, ჯამში, 30 მლნ ლარით ეზრდება ბიუჯეტი, რაც მათ მისცემს ინფრასტრუქტურის და სოციალური პროექტების დაფინანსების შესაძლებლობას.

თინათინ ნიბლოშვილმა მადლობა გადაუხად მერს, ვიცე-მერს, მერის მოადგილეებს, სამსახურების უფროსებს, გამგებლებს და ყველა იმ ადამიანს, რომელიც წლიდან წლამდე მუხლჩაუხრელად შრომობს თბილისის და თბილისელების კეთილდღეობაზე. წარმატება და ბედნიერი შობა-ახალი წელი უსურვა დამსწრე საზოგადოებას და თბილისელებს და აღნიშნა, რომ თბილისი იყო და იქნება სიკეთით სავსე ქალაქი.

ვახტანგ სურგულაძემ სთხოვა ქალაქის მერს შეხვედრა და თანამშრომლობა იმ საკითხებზე, რომელიც მან გააჟღერა. ესაა სკოლებში ბავშვთა კვება და უფასო სასადილოების პრობლემა.

კახაბერ ლაბუჩიძემ მადლობა გადაუხადა მერს საინტერესო დოკუმენტის წარდგენისთვის და აღნიშნა, რომ ბიუჯეტში სრულად არის გათვალისწინებული ის რეკომენდაციები, რომელიც სარევიზიო კომისიამ და მაჟორიტარებმა წარადგინეს. აღნიშნა, რომ 2025 წელი ძალიან მნიშვნელოვანი წელი იყო, მერის მიერ გაწეულ საქმიანობას მოსახლეობამ პასუხი გასცა 4

ოქტომბრის არჩევნებზე და ქვეყნის ისტორიაში პირველად, მე-3 ვადით აირჩია კახა კალაძე. კოლეგებს და თბილისელებს წინასწარ მიულოცა დამდეგი ახალი წელი.
ზაქარია წიკლაურმა ფრაქცია „ხალხის ძალი"-ს სახელით მადლობა გადაუხადა მერს შესანიშნავი ანგარიშისთვის და იმ შთამბეჭდავი ციფრებისთვის, რომელიც ბიუჯეტის პროექტითაა წარმოდგენილი. მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის პროექტები და ტრამვაის ხაზი, რომელიც აუცილებლად განტვირთავს ქალაქში გადატვირთულ მოძრაობას. გულისტკივილი გამოთქვა დაუმსახურებელ კრიტიკაზე, რომელიც არ ასახავს რეალობას. „ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი, ვუერთგულოთ საკუთარ ქვეყანას და არ მივცეთ არც ერთ რადიკალურ დაჯგუფებას, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ, შეაფერხოს წინსვლა და ხელი შეუშალოს ჩვენი ქვეყნის განვითარებას".
გიორგი გვენეტაძე-„ის ფაქტი, რომ წლიდან წლამდე ბიუჯეტი იზრდება, არაფერს ნიშნავს. ვფიქრობ, რომ წლიდან წლამდე უფრო მეტად ვბეგრავთ მოსახლეობას, ბიზნესს. თანხები იხარჯება არამიზნობრივად".
ბექა მიქაუტაძემ მადლობა გადაუხადა მერს, ვიცე-მერს მნიშვნელოვანი პროექტის წარდგენისთვის. აღნიშნა, რომ ბიუჯეტი მოემსახურება თბილისს და თბილისელებს. როგორც ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, მიმართა ოპოზიციონერ კოლეგას, ვახტანგ სურგულაძეს და კიდევ ერთხელ დაუდასტურა მზაობა შეხვედრასა და საქმიან თანამშრომლობაზე.
ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა კიდევ ერთხელ დააყენა ინიციატივა საჯარო სკოლებში ბავშვთა კვებაზე. აღნიშნა, რომ ეს არ არის პოლიტიკური და არც პოპულისტური საკითხი. თუ იქნება ბატონი კახა კალაძის ნება და მზაობა, მისი პოლიტიკური წონიდან გამომდინარე, ეს საკითხი მოგვარებადია.
ლევან ჯაფარიძემ მადლობა გადაუხადა კახა კალაძეს დღევანდელი ანგარიშისთვის. აღნიშნა, რომ მერი და მერიის გუნდი ყოველთვის იდგა ხალხის სამსახურში. გაიხსენა 2021 წლის კოვიდის პერიოდი, როდესაც მუნიციპალიტეტმა შეუძლებელი შეძლო. როგორც კრწანისის მაჟორიტარმა განაცხადა, რომ არც ერთი დაპირება, რომელიც გაჟღერებული იყო, არ დარჩენილა შეუსრულებელი.
ბექა ოდიშარიამ განმარტება გააკეთა ოპოზიციონერი კოლეგის მისამართით და განაცხადა, რომ ბიუჯეტი როცა იზრდება, ეს არ ნიშნავს გადასახადების გაზრდას და გადამხდელების დაბეგვრას. დედაქალაქი სწორი მიმართულებით ვითარდება, წლევანდელ ბიუჯეტში 27% მიმართულია სოციალური კუთხით. მან დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა იმ, დიდი რაოდენობით ამომრჩეველს, რომელსაც სჯერა, რომ თბილისი სიკეთით სავსე ქალაქია.
ზურაბ ჩიკვილაძემ განაცხადა, რომ ძალიან შთამბეჭდავი იყო ბატონი მერის ანგარიში და უმნიშვნელოვანესი იყო 2025 წელი. ბევრი პროექტი, პროგრამა განხორციელდა როგორც ინფრასტრუქტურის, ასევე ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების მიმართულებით. მნიშვნელოვანია ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა. ძალიან ბევრი სარეკრეაციო და მწვანე სივრცე მოეწყო დედაქალაქში, რომელიც ყველა თაობის ადამიანს ემსახურება. ამ საანგარიშო წელს, „ამდენ სიკეთესთან ერთად რადიკალური ოპოზიცია გვიპირისპირდებოდა, რევანშისა და რევანშისტული სცენარების არაერთი გამოვლინება ჰქონდათ. იყო ბულინგი, პოლიციელების შეურაცხყოფა, დანგრეული ინფრასტრუქტურა, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, დედაქალაქი მაინც ვითარდება".
ბექა დავითულიანმა შეაფასა დღევანდელი სხდომა და აღნიშნა, რომ დღეს, როდესაც მთელი სამყარო, ჩვენი რეგიონი არის მძიმე სიტუაციაში, ქალაქის საკრებულოში ქალაქის განვითარებაზე მიდის მსჯელობა. 2017 წლიდან, დღემდე მინიმუმ სამჯერ გაიზარდა ქალაქის ბიუჯეტი, ქალაქის მერმა წარადგინა ანგარიში და მის მიერ გაწეული საქმიანობის შედეგია ის, რომ ქალაქის მოსახლეობამ მესამეჯერ აირჩია მერად. გაკეთდა ათასობით სკვერი, ათი ათასობით ადამიანს გადაეცა საცხოვრებელი ფართი. „ამ გუნდის გარდა, ამ წუთას, არავის შეუძლია ყველა გამოწვევის დაძლევა". „2017 წლიდან ჩართული ვარ და აქტიურად ვუყურებ საკრებულოს სხდომებს და ოპოზიციის ესეთი კონსტრუქციული დამოკიდებულება არ მინახავს"-აღნიშნა ბექა დავითულიანმა. წარმატებები უსურვა მერს, მერიის, საკრებულოს მთელ შემადგენლობას.

2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი:

მომხრე - 43
თავი შეიკავა - 4
წინააღმდეგი - 1
გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 1 დადგენილება .

საკრებულოს თავმჯდომარე	ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	ბექა დავითულიანი